გიორგი აბაზაძის შეპასუხება

პასუხად განვმარტავ შემდეგს :

1.დიახ ვიდეო ნამდვილად არის აღებული Facebook გვერდიდან და შესაბამისი გვერდის მიერ აწერია (არქივი, მისივე ტიტრებით) მომჩივანი განმარტავს, რომ ვიდეო ახლა არ დევს, რაც ბუნებრივია არანაირ კავშირში არ უნდა იყოს ჩემთან რატომ არ დევს ახლა მასალა.

2. სიუჟეტში ნამდვილად ნათქვამია, რომ მიშა მშვილდაძე ამას აგვისტოს ომიდან 3 წლის შემდეგ ამბობს (თარიღი მითითებული იყო Facebook გვერდზე) თუმცა არსად ვუსვამ ხაზს, რომ ეს 2011 წელია, მომჩივანი იმეორებს ჩემს ციტატას და თან ამატებს მის მიერვე - "2011 წელს". ბუნევრივია აგვისტოს ომიდან სამი წელი, 2011 წელს გავიდოდა, მაგრამ სიუჟეტის მიზანი კონკრეტული წლის დასახელება არ იყო და თავადაც ნახავთ რომ კონკრეტულ თარიღს 2011,2012 რაც ყურში მოსახვედრია ხშირად, სიუჟეტში არსად ვიმეორებ. რეპორტაჟში ნათქვამია, რომ ეს განცხადება აგვისტოს ომის შემდეგ გააკეთა და 3 წელი გავიდა თუ 4 მის ნათქვამს არ აქარწყლებს.

მომჩივანი დავობს, რომ მისი ნათქვამი კონტესქსტიდან ამოგლეჯილია, რაც არასწორია მიშა მშვილდაძის ფრაზა ნამდვილად ეკუთვნის მას და არ არის დამონტაჟებული, რაც შეეხება მის ხანგრძლივობას ალბათ უცხო არ უნდა იყოს თქვენთვის, 3 წუთიან სიუჟეტში რამდენია სინქრონის/კომენტარის ხანგრძლივობა და მთელ გადაცემაში რაც ილაპარაკა, თავიდან ბოლომდე ვერ ჩავსვამდით. კონტექსტიდან ამოგლეჯილი როგორ არის მისი ნათქვამი, როდესაც დასრულებული წინადადება გვაქვს სიუჟეტში გამოყენებული?

ანა ჯოჯუა და ლევან სოლოღაშვილი, სიუჟეტის მომზადებაში ტექნიკური მხარეა.